

ဗုဒ္ဓဝိန္ဒာ၊ ဗုဒ္ဓဝိန္ဒာ၊

နေပါဒီ နှစ်တောင်းရွာ

ဗုဒ္ဓနိဝင်

ဗုဒ္ဓနိဝင်နှစ်တောင်း

(နေပါဒီ နှစ်တောင်းရွာ၊ မြန်မာနိုင်ငြခဲ့ 50 ပြည့်)

တရာ့ဂျာကျ 2019

ბროშურა ეძღვნება გამოჩენილ ქართველ კლიმატოლოგს, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ამავე აკადემიის კახეთის რეგიონალური განყოფილების თავმჯდომარეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომებეოროლოგიის ინსტიტუტის კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგეს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელს, საერთაშორისო უურნალის «European Geographical Studies» (სლოვაკია) მთავარი რედაქტორის მოადგილეს, ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს წევრს, მსოფლიო ბანკის ექსპერტს პიდრომებეოროლოგიის დარგში, დირსების ორდენის კავალერს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ელიზბარ ელიზბარაშვილს სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის-თავთან დაკავშირებით.

წინაპრები

ელიზბარაშვილი საქმაოდ გავრცელებული გვარია ქართლში, კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში, ფშავში და ხევში. რა თქმა უნდა მათ სხვა-დასხვა წარმომავლობა აქვს. ელიზბარაშვილები არიან რამდენიმე დი-დებული საგვარეულოს შტო-გვარებიც, მათ შორის ბაგრატიონ-დავი-თაშვილებისა.

გადმოცემის თანახმად ელიზბარაშვილების ოჯახის წინაპრები ბე-რიძეები ყოფილან. ბერიძე ყველაზე გავრცელებული გვარია საქართვე-ლოში. გვარი საკუთარ არსებობას მეცხრე საუკუნიდან იწყებს. მისი წარმოშობის ადგილი ტაო-კლარჯეთია, საიდანაც გვარი გავრცელ-და მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში, გურიაში, იმერეთში და შემდეგ მოელ საქართველოში. ამ გვარმა საქართველოს უმრავი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი შესძინა.

ერთერთი ბერიძე, თითქოს სახელად ელიზბარი, ჩასახლებულა სა-გარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურაში და მისი შთამომავლები ელიზბარაშვილები გამხდარან. ბატონი ელიზბარის ვარაუდით ეს მოხდა მე-18-ე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ერეკლე მეფე აღადგინა 1614-1617 წლებში შაპ-აბასის მიერ აოხრებული სოფელი.

სოფლის მამულები ალავერდის ტაბარს კუთვნოდა. მეფე სოფელი საუფლისწულოდ თავის ძეს მირიან ბატონიშვილს უბოძა.

ბატონი ელიზბარის აზრით კახელი ელიზბარაშვილების გარკვეუ-ლი ნაწილის სამშობლო სწორედ ყანდაურა უნდა იყოს და აქედან გავრცელდა ეს გვარი კახეთის სხვა რეგიონებში-ბადიაურში, საგარე-ჯოში, გურჯაანში, თელავში და ა.შ. ყანდაურაში არის დაკრძალული ბატონი ელიზბარის პაპის პაპა-ნიკოლოზ ელიზბარაშვილი. ბატონი ელიზბარის მიერ შედგენილ გენიალოგიურ ხეს სწორედ ნიკოლოზი უდგას სათავეში. ბატონი ელიზბარის გამოთვლებით ნიკოლოზი ელიზბარაშვილების მესამე თაობა უნდა იყოს, ანუ მისი პაპის მამა უნდა ყოფილიყო ელიზბარ ბერიძე, რომელიც ყანდაურაში ჩასახლდა სოფ-ლის აღდგენის შემდეგ, მე-18-ე საუკუნის მეორე ნახევარში. გასული საუკუნის 80-იან წლებში რამოდენიმე ყანდაურელ მოხუცს ბატონ ელიზბართან საუბარში დაუდასტურებია, რომ ყანდაურაში ელიზბარაშვი-ლებს დღესაც ბერ-ელიზბარაშვილებს უწოდებენო, რაც მათი გვარის წარმომავლობაზე და სამდვდელოებაზე უნდა მიუთითებდეს. ამ მოსაზ-რებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ თურმე ბატონი ელიზბარის პაპა-დე-კანოზი მიხეილ ელიზბარაშვილი ხელს აწერდა როგორც ბერიძე-ელიზბარაშვილი.

ელიზბარაშვილების შტო სამღვდელოებას მიეკუთვნება. ბატონი ელიზბარის დიდ პაპას, მღვდელ პეტრე ელიზბარაშვილს სოფელ ვეჯინში, სადაც ის მსახურობდა, ერეკლე მეფისათვის 1898 წელს პანაშვიდი ჩაუტარებია, რაც დეტალურად გააშექა იმ დროს გაზეთმა “ცნობის ფურცელმა” (№487).

პეტრეს ჰყავდა 5 შვილი, მათ შორის მესამე იყო ბატონი ელიზბარის პაპა-მიხეილ ელიზბარაშვილი. პაპას თბილისის სასულიერო სემინარიაში უსწავლიდა სოხო ჯუდაშვილთან და, შემდგომში აკადემიკოს, კორნელი კეკელიძესთან ერთად.

მიხეილი დაოჯახებულა 1900 წელს და ცოლად შეურთავს შილდელი დეკანოზის მატათია მირიანაშვილის ქალი ბარბარე (ვარო). ბებო ვარო სამღვდელოების შთამომავალი იყო და განათლება პეტერბურგში პქონდა მიღებული, სადაც დაამთავრა ქეთილშობილ ქალთა სასწავლებელი. მან სრულყოფილად იცოდა რუსული ენა და ხშირად ეხმარებოდა შვილის შვილებს. კარგად იცოდა აგრეთვე რუსული ლიტერატურა.

1910 წლიდან მ. ელიზბარაშვილი მსახურობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში, წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში, ხოლო 1918 წელს აირჩიეს ალავერდის ეპარქიის საეკლესიო სასამართლოს თავმჯდომარევ და მიანიჭეს დეკანოზის წოდება. მიხეილ ელიზბარაშვილი 1921 წელს ესწრებოდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მე-3 საეკლესიო კრებას. მისი ინიციატივით თელავში რესტავრაცია გაუკეთდა ერეკლე მეფის სასახლის კოშკურებს, სადაც შემდგომში ბიბლიოთეკა მოეწყო. მიხეილ ელიზბარაშვილი იყო საქართველოში წერა-კითხვის გამაგრცელებელი საზოგადოების წევრი და მისი ბიოგრაფია შესულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაში (<http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00001022/>).

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია დეკანოზ მიხეილ ელიზბარაშვილის ხელნაწერი ხოტების კრებულები “კარბელანთ კილო”, “ალილო”, “მეტივური”, “ველისციხეური ყურძხნი”. გარდა ამისა ის პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1903 წელს გაზეთ “ივერიაში” გამოქვეყნდა მისი წერილი “ცოტა რამ ქართული გალობის შესახებ სასულიერო სასწავლებელში”. ნაშრომში “აზრთა კონა” მას შეკრებილი აქვს XIX საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული გამოჩენილ ადამიანთა ნაზრევი.

როდესაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და შეავიწროვეს სამ-ლეგისტრის მინიჭება, მიხეილ ელიზბერაშვილი იმულებული გახდა გაეხადა ან-აფირა. ბოლო წლებში მას უმუშავია თელავის პედაგოგიურ ინსტი-ტუტში საქმეთა მმართველად.

მიხეილს და მის მეუღლეს ბარბარეს ჰყავდათ 4 შვილი: არჩილი, ვახტანგი, თამარი და შალვა.

თელავის ძველ სასაფლაოზე არის ელიზბერაშვილების საგვარე-ულო სასაფლაო, სადაც განისვენებენ ბატონი ელიზბერის ახლო წი-ნაპრები: დიდი პაპა პეტრე და მისი მეუღლე დარო, პაპა მიხეილი და ბებო ბარბარე მირიანაშვილი, ბიძა არჩილი და მისი მეუღლე თამარ მემმარიაშვილი, მეორე ბიძა ვახტანგი და მისი მეუღლე ნინო სარალი-ძე, და მშობლები შალვა ელიზბერაშვილი და ვერა ჭანკვეტაძე.

ბავშვობა

ელიზბერ ელიზბერაშვილი დიბადა 1946 წლის 28 ნოემბერს ქალაქ თელავში. დედა ვერა (მარიამ) ჭანკვეტაძე, იყო გეოგრაფიის მასწავლე-ბელი, მამა- შალვა იყო აგრონომი.

ბატონი ელიზბერის დაბადებამდე, მის მამას უმუშავია ე.წ. მტს-ში, ანუ მანქანატრაქტორთა სადგურში მთავარ აგრონომათ და წარჩინე-ბული შრომისათვის საჩუქრად მიუღია ეტლი ცხენებით. სწორედ ამ ეტლით მოუყვანიათ ის სამშობიარო სახლიდან სახლში, კარლ მარ-ქსის ქუჩაზე. ეს ქუჩა თელავის ცენტრში მდებარეობს და დღეს ელექტრო-დანიანი ანის სახელს ატარებს, რადგანაც ამ სახლიდან რამოდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე სახლში დაიბადა და ბავშვობა გაატარა სახელოვანმა მხატვარმა.

ბატონმა ელიზბერმა ბავშვობა თელავში გაატარა, ეს იყო ომისშემ-დგომი წლები. როგორც თვითონ იხსენებს მაშინდელი თელავი და თე-ლაველები სრულიად განსხვდებოდა დღევანდელისაგან. მიუხედავად გაჭირვებულობისა უფრო მეტი სითბო და სიყვარული იგრძნობოდა ადამიანებს შორის. უბანი იყო წენარი, მეზობლები ერთმანეთს მორი-დებით და პატივისცემით ეპურობოდნენ.

სახლი, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა, აშენებული იყო პაპამისის, დეკანოზ მიხეილ ელიზბერაშვილის მიერ 1916 წელს. ბატონი ელიზ-ბერი იხსენებს, რომ მას მამა უყვებოდა ამ სახლის მშენებლობის შე-სახებ, თუ როგორ ჩაატანეს საძირკეებულში ძგირფასეულობა და აგურ-თხეს, როგორ იბარებდა ის 8-10 წლის ასაკში მამამისის მიერ გამოგ-ზავნილ სამშენებლო მასალას და სხვ.

სახლი გემოვნებით არის აშენებული, ის დღესაც იქცევს ყურადღებას თავისი ორიგინალური არქიტექტურით და სახელმწიფოს მიერ დაცულია, როგორც ძეგლი.

ბატონი ელიზბარი იხსენებს, რომ საღამოობით მთელი ოჯახი მიუსხდებოდა მაგიდას, მაშინ დენი ხშირად არ იყო, და ლამფის შუქჩე დედა ამზადებდა გაკვეთილებს, მამა კითხულობდა გაზეთებს, და-დალი (შემდგომში ცნობილი გინეკოლოგი თელავში) მეცადინეობდა და თვითონაც თავისებურად საქმიანობდა. ეს სურათი მას მთელი ცხოვრების მანილზე გაჰყვა და როგორც ამბობს მისთვის სამაგალითო იყო დედ-მამის ცხოვრება, ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთობა ოჯახის სხვა წევრებთან, კეთილსინდისიერება, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა სამსახურის, საზოგადოების და ქავენის წინაშე.

სკოლა

ელიზბარ ელიზბარაშვილი 1953 წელს შეიყვანეს თელავის რუსულ საშუალო სკოლაში. სკოლა იყო პრესტიული, იქ სწავლობდნენ თელავის წარჩინებული ინტელიგენციის, მთავრობის წარმომადგენლების და თელავში არსებული სამსედრო ლეგიონის სარდლობის შვილები. სკოლა რუსული იყო, თუმცა მოსწავლეოთა და მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა ქართველები იყვნენ, ამიტომ ქართულად საუბრობდნენ, მხოლოდ გაკვეთილები და ოფიციალური შესვედრები ტარდებოდა რუსულ ენაზე. სკოლას ხელმძღვანელობდა დამსახურებული პედაგოგი გიორგი მელითაური. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი საუკეთესო იყო იმ დროის თელავის სკოლებს შორის. კალე მოლდაძე ერთერთი საუკეთესო მათემატიკის მასწავლებელი იყო არა მხოლოდ თელავის, არამედ საქართველოს მასშტაბით. ფიზიკის მასწავლებელი იყო შოთა ბორჩაშვილი. სწორედ მათმა პიროვნულმა თვისებებმა, დამოკიდებულებამ საგნის მიმართ და პედაგოგიურმა კეთილსინდისიერებამ შეაყვარა ბატონ ელიზბარს სწავლა, ფიზიკა და მათემატიკა, და განსაზღვრა მისი მომავალი სპეციალობა.

შესანიშნავმა მასწავლებლებმა და სამართლიანმა გარემომ მნიშვნელოვანი სტიმული მისცა მას. ძალიან აინტერესებდა და დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ფიზიკის, გეომეტრიის და ტრიგონომეტრიის ამოცანების ამოსესნა. ხშირად მასწავლებელს დაფაზე ამოცანის პირობაც არ ჰქონდა დასრულებული, იგი ამოსესნის პასუხს აწვდიდა, ამას დღესაც ხშირად იგონებს მისი მეგობარი, თანაკლასელი, დღეს ცნობილი ნეპროპათოლოგი გიორგი ზაალიშვილი.

ბატონი ელიზბარი იხსენებს, რომ მე-9 კლასში სწავლის დროს ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნდა ფიზიკის ოლიმპიადის ამოცანები. ბატონ ელიზბარს ამოხსნები გაუგზავნია მითითებულ მისამართზე, რისი შედეგების მიხედვით ის დაუშვიათ მე-2 ტურში და ბოლოს ფინალში. ფინალური ტური ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე სადაც მან წარმატებას მიაღწია.

თელავი სპორტული ქალაქი იყო. ქალაქში იყო სპორტული სკოლა, სადაც ფუნქციონირებდა სპორტის მრავალი სახეობის სექცია. ელიზბარი ფეხბურთის სექციაში დადიოდა. სპორტში დაწინაურებული იყო პირველი საშუალო სკოლა. ბატონი ელიზბარი იხსენებს, რომ მისი სკოლა მეორე ადგილს სჯერდებოდა. თაობები იცვლებოდა, და აი 1963 წელს, როდესაც იგი სწავლობდა დამამთავრებელ მე-10 კლასში, დიდი ანგარიშით დაამარცხეს ყველა სკოლა და ფინალში პირველ სკოლას სძლიერ. ასე დაუტოვეს ბატონმა ელიზბარმა და მისმა თანაგუნდელებმა თელავის რუსულ საშუალო სკოლას თელავის ჩემპიონის ტიტული ფეხბურთში.

ბატონი ელიზბარი იხსენებს, რომ სკოლაში სწავლის პერიოდი იყო ერთეულთი საჟაეროესო მის ცხოვრებაში. არ აწუხებდა სერიოზული პრობლემები, მშობლები ახალგაზრდებზე ზრუნავდნენ და წინ დიდი პერსპექტივები ესახებოდათ.

სკოლა 1963 წელს წარჩინებით (მედალზე) დაამთავრა.

სტუდენტობა

ელიზბარ ელიზბარაშვილი 1963 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. ფიზიკის ფაკულტეტზე კონკურსი საკმაოდ დიდი იყო, ის პრესტიჟულ ფაკულტეტად ითვლებოდა. მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები ჩართულები იყვნენ საკავშირო და საერთაშორისო პროგრამებში და იზიდავდნენ ახალგაზრდა კალიფიციურ ფიზიკოსებს, რომელთაც დიდი პერსპექტივები ესახებოდათ.

უნივერსიტეტმა ბატონ ელიზბარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იქ ის აღმოგნება მეცნიერების დიდი კორიფეულის გარემოცვაში. ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი მეცნიერები, აკადემიკოსები მათე მირიანაშვილი, ვაგან მამასახლისოვი, გივი ხუციშვილი, ვლადიმერ ჭელიძე, პროფესორები ელიზბარ წითლანაძე, დავით კვესელავა, ალექს იშხნელი, ნიკა პოლიექტოვ-ნიკოლაძე, გოგი ალექსანდრია და სხვები. სწავლების მესამე კურსიდან მან აირჩია სპეციალობა “გეოფიზიკა”. ამ

დარგის საფუძვლებს ასწავლიდნენ საქართველოში გეოფიზიკური მეცნიერების ფუძემდებელი და თბილისის უნივერსიტეტში გეოფიზიკის კათედრის დამაარსებელი (1933წ) პროფესორი მიხეილ ნოდია, გამოჩენილი მატერიალოგი, უნივერსიტეტის მეტეოროლოგიური სადგურის დამაარსებელი (1936წ) პროფესორი იოსებ ქურდიანი, აგრეთვე პროფესორები მიხეილ ჩხეტია, გრიგოლ მანაგაძე და ზურაბ ხვედელიძე.

უნივერსიტეტის რექტორი იყო აკადემიკოსი ევგენი ხარაძე. იმ დროს უნივერსიტეტში მოდგაწეობდნენ მისი დამაარსებლები და გამოჩენილი მეცნიერები აკადემიკოსები აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი და სხვები. რა თქმა უნდა ისინი ფიზიკის ფაკულტეტზე არ კითხულობდნენ ლექციებს, მაგრამ სტუდენტების დიდ ყურადღებას იპყრობდნენ.

უნივერსიტეტში ბატონი ელიზბარის ჩარიცხვის პერიოდში ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი იყო აკადემიკოსი ვაგან მამასახლისოვი, ხოლო შემდგომში პროფესორი გურამ ჭილაშვილი, რომელიც დაბრუნდა დუბნადან, სადაც ის ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში.

ფიზიკის ფაკულტეტი ურთულეს ფაკულტეტად ითვლებოდა, ბატონი ელიზბარი იხსენებს, რომ ძალიან ძნელი იყო ისეთი რთული საგნების ათვისება, როგორებიც იყო თეორიული მექანიკა, ველის თეორია, ქვანტური ფიზიკა და სხვა. ამიტომ ბევრი შრომა უწევდათ, თუმცა მათ შორის ფრიადოსნებიც იყვნენ. ამავე დროს ძალიან ბევრი სტუდენტი გადადიოდა სხვა ფაკულტეტზე, უმთავრესად ეკონომიკურზე, გმოგრაფია-გეოლოგიურზე და სხვ., სადაც წარმატებებსაც აღწევდნენ.

უნივერსიტეტში სწავლის მე-3 კურსზე პროფესორ მიხეილ ჩხეტიას რეკომენდაციით ბატონი ელიზბარი მიიღეს უნივერსიტეტის მეტეოროლოგიური სადგურის დამკირვებლად ნახევარ განაკვეთზე. რამოდენიმე თვის შემდეგ დააწინაურეს გეოფიზიკის კათედრის ლაბორატორიად, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გადაიყვანეს ამავე კათედრის უფროსი ლაბორატორიის თანამდებობაზე.

უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდი (1968-1978)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისას ბატონი ელიზბარი უკვე მუშაობდა უნივერსიტეტის გეოფიზიკის კათედრაზე უფროსი ლაბორატორიის თანამდებობაზე. მას ევალებოდა მეტეოროლოგიური დაკვირვებების წარმოება უნივერსიტეტის მეტეოსადგურში, აგრეთვე ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება ფიზიკის ფაკულტე-

ტის სტუდენტებთან. ამავე დროს იგი ჩაერთო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით თემაზე და თანაავტორობით გამოაქვეყნა რამდენიმე სამეცნიერო სტატია, ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “მოამბეში” აკადემიკოს თეოფანე დავითაიას წარდგინებით.

იმ პერიოდში თბილისის უნივერსიტეტის ოქტორად დანიშნეს აკადემიკოსი ილია ვეკუა, რომელმაც მანამდე დააარსა და დიდი სახელი მოუხვეჭა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტს. ილია ვეკუამ უნივერსიტეტში ახლადშექმნილ მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანოლოგიის კათედრის გამგებ მოიწვია პროფესორი გიორგი სულაქველიძე, რომელიც მანამდე ხელმძღვანელობდა ნალჩიკში მის მიერვე დაარსებულ მაღალი მოის გეოფიზიკის ინსტიტუტს.

გ.სულაქველიძე ცნობილი მეცნიერი იყო. მას სეტყვის წარმოქმნის მექანიზმის შესწავლასა და სეტყვაზე აქტიური ზემოქმედების მეთოდების შემუშავების დარგში მინიჭებული პრონდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. გ.სულაქველიძესთან სისტემატიურად, საკონსულტაციოთ ჩამოდიოდნენ ასპირანტები, დოქტორანტები და მეცნიერ მუშაკები მოელი საბჭოთა კავშირიდან. მან პროფესორ მიხეილ ნოდიასთან ერთად ჩამოაყალიბა ზოგადგეოფიზიკური სემინარი, სადაც ქართველი და უცხოელი მეცნიერები მოხსენებებით გამოდიოდნენ გეოფიზიკური მეცნიერების ყველაზე აქტუალური პრობლემების შესახებ. ამ სემინარზე საბჭოთა კავშირის ცნობილი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებს გამოჰქონდათ მოხსენებები. სემინარს აგრეთვე უფლება ქონდა რეკომენდაცია გაეწია კვლევისათვის საკანდიდატო, ან სადოქტორო დისერტაციად წარსადგენად. ამ ცნობილი სამეცნიერო გამოკვლევების საჯარო დაცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდებოდა. ბატონი ელიზბარი სისტემატიურად ესწრებოდა სემინარებს და სადისერტაციო ნაშრომების დაცვებს.

გ.სულაქველიძეს ბატონმა ელიზბარმა წარუდგინა თავისი სტატიები რომლებიც ეხებოდა პუასონის ფუნქციით ნალექიან დღეთა ალბათობების გაანგარიშებას და გაუზიარა თავისი გეგმები. ბატონი ელიზბარი იხსენებს, რომ სტატიების ნახვისა და გასაუბრების შემდგა, გ.სულაქველიძემ დაიწყო საუბარი ნ.კობიშვილას ნაშრომებზე და ურჩია მას, რომ ამ მიმართულებით ემუშავა. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ დღემდე საქართველოს კლიმატოლოგია ატარებდა აღწერით ხასიათს. ეს ეგაპი კლიმატოლოგიამ უკვე გაიარა. ახალ ეგაპზე საჭირო იყო კლიმატოლოგიის მათემატიზაცია, ანუ მისი მათემატიკურ ენაზე გადატანა, რასაც აკეთებდა ნ.კობიშვილა. ამას თუ მოახერხებდა ელიზბარ

ელიზბარაშვილი საქართველოსთვის, რისი საწყისებიც მის სტატიებში იყო, გ.ხულაშვილიძის აზრით, გამოვიდოდა კარგი საკვალიფიკაციო ნაშრომი. ასე დაიგეგმა ბატონი ელიზბარის საკანდიდაცო დისერტაცია.

1975 წლის 27 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბატონმა ელიზბარმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე “საქართველოს ტერიტორიაზე მირითადი კლიმატური მახასიათებლების სივრცე-დროითი განაწილების თავისებურებანი”. და მიენიჭა გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდაციის სამეცნიერო ხარისხი. სხდომას უძღვებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე (შურა) ასლანიკაშვილი. საბჭოს წევრები იყვნენ აკადემიკოსი მ.საბაშვილი, პროფესორები გ.ხულაშვილიძე, დ.უკლება, შ.ნახუცრიშვილი, დ.წერეთელი, გ.ხმალაძე, ი.ცუცქირიძე, ვ.ჯაოშვილი, ნ.ნაჭყებია და სხვ. სამეცნიერო საბჭომ სადისერტაციო ნაშრომზე რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერის დადგებითი გამოხმაურება მიიღო. მათ შორის მ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრის გამგისგან, პროფესორ ს.ხრომოვისგან, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრის გამგისგან, პროფესორ ო.დროზდოვისგან, საბჭოთა კავშირის პიდრომეტცენტრის განყოფილების გამგისგან, პროფესორ ხ.პოლოსიანისგან, ა.ვოეკოვის სახელობის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის განყოფილების გამგისგან, პროფესორ ნ.კობიშვეგასგან.

იმავე წელს ელიზბარ ელიზბარაშვილი მიიწვიეს სალექციო კურსების წასაკითხად ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან ატმოსფეროს ფიზიკში და სინოპტიკურ მეტეოროლოგიაში. ასე დაიწყო მისი პედაგოგიური საქმიანობა.

1975 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩატარდა გეოგრაფთა ყ საკავშირო ყრილობა. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელსაც ბევრი სახელოვანი სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის იყო არქტიკის გამოჩენილი მკვლევარი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ივან პაპანინი. საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი თეოფანე დავითია. ყრილობა გაიხსნა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ხოლო სხდომები მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბატონი ელიზბარი გვიყვება, რომ ამდენი გამოჩენილი მეცნიერ-გეოგრაფი მას არასდროს უნახავს. მისი სიტყვებით “ბანკეტზე ყრი-

ლობის მონაწილენი ძალიან უშუალოდ იქცეოდნენ, ყვებოდნენ საინტერესო თავგადასავლებს, იხსენებოდნენ ერთად გატარებულ ექსპედიციებს, ხუმრობინენ, უძღვნიდნენ ერთმანეთს ექსპრომტად შექმნილ ლექსებს და სიმღერებს. მოკლედ საღამომ ჩემთვე დიდი შტაბეჭდილება მოახდინა, მე დავრწმუნდი, რომ ფიზიკოსების მსგავსად, გამოჩენილ გაოგრაფებსაც შეუძლია იყვნენ “ლირიკოსები”.

უნივერსიტეტში მუშაობისას ბატონ ელიზბარს დაავალეს ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების კრებულის მთავარი რედაქტორის მოადგილეობა. მთავარი რედაქტორი იყო ცნობილი ფიზიკოსი, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი და შემდგომში ზვიად გამსახურდიას მთავრობის კავშირგაბმულობის მინისტრი, პროფესორი ფელიქს ტეგბუჩავა. ის ხშირად იმყოფებოდა დუბნაში სამეცნიერო მივლინებაში, ამიტომ ძირითად სამუშაოს ბატონი ელიზბარი ასრულებდა, თუმცა, როგორც იგი იხსენებს, როდესაც ბატონი ფელიქსი ჩამოვიდოდა დეტალურად ცნობობოდა კრებულისთვის მომზადებულ სტატიებს და რეცენზიებს. სარედაქციო კოლეგიას კონსულტაციებს უწევდა უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, პროფესორი სერგო ჯორბენაძე. ბატონი ელიზბარი იხსენებს, რომ სარედაქციო კოლეგიამ მოამზადა და გამოაქვეყნა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების რამდენიმე კრებული. ეს დიდი მხარდაჭერა იყო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთათვის და ასპირანტებისათვის.

უნივერსიტეტის პროფესორ ლევან გედევანიშვილის რეკომენდაციით, ბატონი ელიზბარი აირჩიეს საზოგადოება “ცოდნის” ფიზიკის ფაკულტეტის გამგეობის თავმჯდომარედ. საუნივერსიტეტო გამგეობას ხელმძღვანელობდა პროფესორი პროკლე კეკელიძე. ცნობილი ფიზიკოსის, შემდგომში უნივერსიტეტის პრორექტორის, აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის მამა. ბატონი ელიზბარი იხსენებს, რომ აღნიშნულ საზოგადოებრივ თანამდებობაზე ყოფნისას პირველი, რაც მან გააკეთა, მოიწვია ცნობილი სპორტული კომენტატორი კოტე მახარაძე. ფიზიკის დიდ აუდიტორიაში ტევა არ იყო, ხალხი ფეხზე იდგა. ბატონი კოტე თვითმხილველი იყო მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის და ძალიან საინტერესო ისტორიები მოყვა.

1996 წელს პროფესორ ნ.ბერუბაშვილის მოწევებით, ბატონი ელიზბარი რამდენიმე წლით კვლავ დაბრუნდა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აეროკოსმოსური მეოთხედით ბუნებრივი მდგრადარეობების კვლევის ლაბორატორიაში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად და ხელმძღვანელობდა სამეცნიერო სემინარს.

კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1978-1992)

1978 წელს გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი კლიმატოლოგი გიორგი ჭირაქაძე. ის მოღვაწეობდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში, თუმცა იყო მრავალი ორგანიზაციის სამეცნიერო კონსულტანტი კლიმატოლოგიის დარგში, მათ შორის საქართველოს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა გორგი უშვერიძემ ბატონი ელიზბარი მიიწვია ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე, ხოლო 1980 წელს კი იგი აირჩიეს ამავე ინსტიტუტის სამედიცინო კლიმატოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

საქართველოს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იყო ერთეული უძველესი საქართველოში, ის დაარსდა გასული საუკუნის 20-იან წლებში. ინსტიტუტს გააჩნდა ფილიალები სუბუმში, ბათუმში, წყალტუბოსა და ბორჯომში, და დიდი ავტორიტეტი ჰქონდა საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ბატონი ნიკო ხატიაშვილი, ინსტიტუტის განყოფილებებს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი მეცნიერი-მედიკოსები, პროფესორები გიორგი უშვერიძე, მერი ჯუდელი, აკაკი კაგულია, ალიოშა რობაქიძე, ზურაბ კობახიძე. ინსტიტუტში იყო ჰიდროგოლოგიის განყოფილება მდიდარი არქივით, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ჰიდროგეოლოგები ვასილ ჯალიაშვილი და ტიტე ჩიტუა. ინსტიტუტს გააჩნდა სტაციონარი და მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

ლაბორატორიას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი ელიზბარი, ევალებოდა ყოველთვიური ამინდის სამედიცინო პროგნოზების შედგენა, რომელიც ქვეყნდებოდა გაზეთებში “თბილისი” და “Вечерний Тбилиси”, რეკომენდაციებს უწევდა კურორტებს ამინდის სამედიცინო ჟეფასებაში და იკვლევდა საქართველოს საკურორტო რესურსებს.

ბატონი ელიზბარის ხელმძღვანელობით კომპლექსური კლიმატური კვლევები ჩატარდა მთელ რიგ კურორტებზე-ურეკი-შეკვეთილი, ბორჯომის ჯგუფის კურორტები, აჭარა, არაგვის ხეობა, კახეთი და ა.შ., რაც აისახა მონოგრაფიაში “Климатография курортов Грузии” (Элизбарашвили Э.Ш., Гонгладзе Н.Ш., 1980) და მრავალრიცხოვან ბროშურებში.

10 წლის განმავლობაში ჩატარებული საკურორტო რესურსების კვლევის შედეგები განხოგადოებული იქნა სამენოვან ატლასში “საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები”, რომელიც გამოიცა 1989 წელს მოსკოვში და მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

80-იან წლებში ბატონი ელიზბარი მონაწილეობდა უნიკალური პროექტის “მზიური”-ს შექმნაში, მან დაწერა პროექტის კლიმატური დასაბუთება. ბატონი ელიზბარის თქმით ”ეს იყო მომავლის შესანიშნავი საბავშვო ქალაქი, რომელიც ვერეს ხეობაში გმირთა მოედნიდან ბეთანიამდე ვრცელდებოდა”.

მაშინ ორსაფეხურიანი სამეცნიერო ხარისხები იყო: საკანდიდაცო და სადოქტორო. სადისერტაციო საბჭოები იქმნებოდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სააგენტაციო კომისიასთან და იგივე კომისია განიხილავდა სამეცნიერო ხარისხის მინიჭება-არმინიჭების საკითხს. განსაკუთრებით გამკაცრებული იყო სადოქტორო ხარისხის მინიჭება. საქართველოში კლიმატოლოგიაში დაცული რამოდენიმე სადოქტორო დისერტაცია საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სააგენტაციო კომისიამ არ დაამტკიცა და ამ დარგში დოქტორები აღარ იყო.

ბატონი ელიზბარის სადოქტორო დისერტაცია სრულდებოდა იუნესკოს ორი პროგრამის ჩართულებში: “ალპები-კავკასია” და “ალამიანი და ბიოსფერო”. პროგრამებში ჩართული იყვნენ მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერები, აკადემიკოსები ი.გერასიმოვი, გ.მარჩუკი, მ.ბუდიკო, მ.გოლიცინი, კ.კონდრატიევი, ვ.კოტლიაკოვი, პროფესორები ი.მაშბიცი, ა.კრენკე და სხვ. საქართველოდან პროგრამების კურატორი იყო პროფესორი ემილ კობახიძე.

დისერტაციაზე მუშაობის პროცესში ბატონმა ელიზბარმა დაამტკრა სამეცნიერო კავშირები მსოფლიოს ცნობილ სამეცნიერო ცენტრებთან- ლენინგრადის ა.ვოეკოვის სახელობის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიასთან და მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტთან. დისერტაციის მირითად შედეგებს იგი აქვევნებდა წამყვან საკავშირო ჟურნალებში და საერთაშორისო გეოგრაფიული საზოგადოება კარგად იყო ინფორმირებული მისი კვლევების შესახებ.

1985 წელს თბილისში, ამიერკავკასიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია კლიმატის ცვლილების დარგში. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ორი უძლიერესი სკოლა: ამერიკული და საბჭოთა. ამერიკულ სკოლას ხელმძღვანელობდა პროფესორი მანაბე, საბჭოთა სკოლა წარმოდგენილი იყო რამოდენიმე ჯგუფის სახით, რომელთა შორის იყვნენ აკადემიკოს-

ები მ.ბუდიკო, მ.გოლიცინი, კ.კონდრატიევი, ვ.კოტლიაკოვი, პროფესორები ო.დროზდოვი, ნ.კობიშვილი, ნ.ეფიმოვა, ვ.ადამენკო, ა.კრეჩკე, ი.დიმინიკოვი (ახლა აკადემიკოსი) და სხვები. მათ უმრავლესობას ბატონი ელიზბარი უკვე კარგად იცნობდა, რადგანაც თანამშრომლობდა მათთან. ამიტომ ერთერთ საღამოს ისინი მიწვია სახლში ვახშამზე. ბატონი ელიზბარი იხსენებს, რომ სუფრასთან იჯდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 5 აკადემიკოსი: მ.ბუდიკო, მ.გოლიცინი, კ.კონდრატიევი, ვ.კოტლიაკოვი და გ სვანიძე, აგრეთვე პროფესორები, მსოფლიო კლიმატოლოგიის კორიფეები. დასასრულს მ.ბუდიკოს პირდაპირ სუფრასთან განუცხადებია, რომ თუ კი ბატონ ელიზბარს რაიმე მონაცემები დასჭირდებოდა-სახმელეთო, საზღვაო თუ კოსმოსური ხომალდებიდან, უშუალოდ მისთვის მიემართა და პრობლემა არ შეექმნებოდა.

ბატონმა ელიზბარმა 1990 წლის 16 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში ე.წ. კავკასიის საბჭოზე დაიცვა დისერტაცია გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე “სითბოსა და ტენის კლიმატურ მახასიათებლებზე” მთის რელიეფის გავლენის მათემატიკურ-კარტოგრაფიული მოდელირება”.

საბჭოს წევრები იყვნენ პროფესორები რ.კვერენჩხილაძე, ნ.ბერუჩაშვილი, ვ.ჯაოშვილი, გ.გიგინებული, ლ.მარუაშვილი, დ.უკლება, ზ.ტარგაშიძე, აკადემიკოსი გ.სვანიძე, რუსეთის ფედერაციიდან აკადემიკოსი მ.ზალიხანვი, სომხეთიდან პროფესორები ს.ბალიანი და ლ.ვალესიანი, აზერბაიჯანიდან პროფესორი მ.მუსეიბოვი და სხვ.

დისერტაციის ოპონენტები იყვნენ -ნალჩიკის მაღალი მთის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი ლიუდმილა ფედენკო, რომელიც შემდგომში გახდა ყაბარდო-ბალყარეთის პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის აგმოსფეროს ფიზიკის განყოფილების გამგე, პროფესორი ვლადიმერ ხორგუანი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარტოგრაფიის და გეოინფორმატიკის კათედრის გამგე, პროფესორი ნიკოლოზ ბერუჩაშვილი.

სადისერტაციო საბჭომ დისერტაციის შესახებ მიიღო პროფესორების ო.დროზდოვის, ნ.კობიშვილის და მოსკოვის მ.ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგიის და კლიმატოლოგიის კათედრის გამგის მ.პეტროსიანცის მაღალი შეფასებები, აგრეთვე დასკვნები დისერტაციის შედეგების დანერგვის შესახებ კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუ-

ტიდან, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამმართველოდან “საქართველორტი”, სახელმწიფო სამშენებლო ონსტიტუტიდან “საქალაქმშენსახპროექტი”, რესაუბლიკური გაერთიანება “საქოლმჯანმრთელობიდან”, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტრესტ “საქორგტექსოფლმშენი”-დან, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოყვლევის შედეგების შეტანის შესახებ რიგ სახელმძღვანელოებში.

ამ პერიოდში ძალიან ცოტა მეცნიერებათა დოქტორი იყო საქართველოში. სადისერტაციო საბჭოს შექმნისათვის კი თითოეულ სპეციალობაში საჭირო იყო სულ მცირე 3 მეცნიერებათა დოქტორი, რაც ძნელი მოსახები იყო. ამ დროს აკადემიკოსმა გივი სვანიძემ შესთაგაზარი ბატონ ელიზბარს ემუშავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საბჭოში მეტეროლოგია, კლიმატოლოგია, აგრომეტეოროლოგიის სპეციალობით, რომლის შექმნასაც ის აპირებდა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მეორე სადოქტორო საბჭო უნივერსიტეტში შექმნა პროფესორმა ნიკოლოზ ბერუჟაშვილმა და ბატონი ელიზბარი მიიწვია წევრად სპეციალობაში ფიზიკური გეოგრაფია, ლანდშაფტების გეოფიზიკა და გეოქიმია. იმ დროიდან დაწყებული (1992 წელი) ბატონი ელიზბარი იყო თბილისის ივაზავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა მოწვევის სადისერტაციო საბჭოების წევრი. ისე, რომ დაწყებული 1992 წლიდან ვინც დაიცვა საკანდიდაცო თუ სადოქტორო დისერტაცია თბილისის ივაზავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოებზე, ყველას დისერტაციის განხილვაში აქვს მონაწილეობა მიღებული, როგორც საბჭოს წევრს, ექსპერტს ან ოპონენტს, და ხმა აქვს მიცემული.

პიდრომეტეოროლოგიის ონსტიტუტი (1994-დან დღემდე)

1994 წლს ბატონმა გივი სვანიძემ მიიწვია ელიზბარ ელიზბარშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ონსტიტუტში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 2001-2005 წლებში იგი იყო ონსტიტუტის კლიმატის მოდელირების ლაბორატორიის და ზოგადი კლიმატოლოგიის სექტორის გამგე, 2005-2006 წლებში-მეტეოროლოგიის გამყოფილების გამგე, ხოლო 2006 წლიდან არის ონსტიტუტის კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგე.

ბატონი ელიზბარის აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამუშაო, რაც მისი ონიციატივით დაიგეგმა და თანახელმძღვანელობით შეს-

რულდა პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში იყო “საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური ატლასი”. ის იხსენებს “ინსტიტუტში ახალი მისული ვიყავი, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი სამეცნიერო პროექტებზე. ჩემი შეფასებით წარსადგენი საპროექტო წინადადებები ვიწრო საკითხებს შეეხებოდა, არ ატარებდა ფუნდამენტურ ხასიათს. ამაში დავარწმუნე ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გივი სვანიძე და შევთავაზე მას შეგვეჯამებინა მრავალწლიური კვლევები და შეგვექმნა ფუნდამენტური “საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური ატლასი”, მითუმებეს რომ მე გამაჩნდა საქართველოს საკურორტო ატლასზე მუშაობის გამოცდილება, ინსტიტუტში არსებულ კადრებს კი ძალა შესწევდა შეესრულებინა ეს სამუშაო”.

ატლასი მომზადდა პროფესიონელების გივი მელაძის და ელიზბარ ელიზბარაშვილის ხელმძღვანელობით, ის შეიცავს 112 რუკას, და ასახავს საქართველოს კლიმატურ და აგროკლიმატურ რესურსებს, კლიმატის ცვლილებას და პიდროლოგიას. ბატონი ელიზბარის აზრით ატლასი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რაც შეიქმნა ინსტიტუტში საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში.

ბატონი ელიზბარის მეორე მნიშვნელოვანი წამოწყება ინსტიტუტში იყო საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების კლიმატური და აგროკლიმატური რესურსების კვლევა, რაც 2000 წლიდან დიწყო. ჩატარებული კვლევების შედეგები ქვეყნება სერიის სახით “საქართველოს ჰავა”. აღნიშნული სერიით უკვე გამოქვეყნდა 6 ტომი:

1. აჭარა. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, გ. 110, 2003.
2. აფხაზეთი. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, გ. 112, 2006.
3. სამეცნიერო-ზემო სვანეთი. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, გ. 113, 2010
4. გურია. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, გ. 118, 2011.
5. შიდა ქართლი. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, გ. 122, 2016.
6. იმერეთი. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, გ. 126, 2019.

ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში ბატონმა ელიზბარმა მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის რამდენიმე საგრანტო პროექტში, როგორც ხელმძღვანელმა და ძირითადმა შემსრულებებმა: ბუნებრივი კატასტროფების მრავლობითი რისკის შემცირება-საქართველოს განვითარების პოზიტური ფაქტორი (2007-

2009წ), 1936-2008 წწ მაღალი რეზოლუციის საშუალო თვიური ბადური ტემპერატურისა და ნალექების მონაცემთა მასივების შექმნა და ვალიდაცია კლიმატის გლობალური ცვლილების შეფასებისათვის საქართველოში (2010-2012წწ), ალაზნის ველის ნიადაგების მეორადი დამდაშების თავისებურებანი, მათი პიდროკლიმატური რეჟიმი, კავშირი თანამედროვე ეკოლოგიურ პროცესებთან და რეაბილიტაცია (2012-2014წწ) და სხვ.

2006 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტში და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში გაუქმდა ასპირანტურის და მაძიებლის ინსტიტუტი, შეაჩერეს მუშაობა სადისერტაციო საბჭოებმა. მოქმედ ასპირანტებს და მაძიებლებს გაუუქმდად სტატუსი, ხოლო მათ ვინც მოასწრო სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და წარდგენაც კი სადისერტაციო საბჭოში, უარი ეთქვათ შემდგომ მსვლელობაზე. ასეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, მათ შორის პიდრომებების ინსტიტუტის ასპირანტები და მაძიებლები. გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი, რომლის დარეგულირებაც შეეძლო უნივერსიტეტებს სხვადასხვა აქტების გამოცემით. სამწუხაროდ უნივერსიტეტები არ ჩქარობდნენ. ამ დროებითი რეგულაციის პირობებში ბატონმა ელიზბარმა ერთერთმა პირველმა საქართველოში იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნა გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა. დოქტორანტურას უფლება პქონდა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ჩაერიცხა ის ასპირანტები და მაძიებლები, ვისაც ჩაბარებული პქონდა საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები და შესრულებული პქონდა სადისერტაციო ნაშრომის ორი-მესამედი ნაწილი. ხოლო ვისაც გავლილი პქონდა ასპირანტურა და დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი მას შეეძლო ნაშრომი წარედგინა დასაცავად. სწორედ ამ რეგულაციის ფარგლებში მან ხელი შეუწყო უპირველეს ყოვლისა პიდრომებების ინსტიტუტის ასპირანტებს და მაძიებლებს, რომლებსაც შექმნებული პქონდათ შესაბამისი სტატუსი და დისერტაციის დაცვის პერსპექტივაც არ გააჩნდათ. მათ წარმატებით დაიცვეს დისერტაციები და გეოგრაფიის აკადემიური დოქტორის ხარისხი მოიპოვეს. ესენი არიან ნ.დვალიშვილი, ნ.ბეგგლარაშვილი, მ.გაბატაძე, ხ.ჩიკვილაძე და შ.ელიზბარაშვილი. ამის გარდა, ამჟამად პიდრომებების ინსტიტუტში მუშაობს მისი ხელმძღვანელობით მომზადებული 3 მეცნიერ-თანამშრომელი: მეცნიერებათა დოქტორი ლიანა ქართველიშვილი, და აკადემიური დოქტორები მიხეილ ფიფია და მანანა კაიშაური.

1997 წელს ბატონი ელიზბარი აირჩიეს საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად და კახეთის რეგიონალური განყოფილების თავმჯდომარედ.

2003 წელს აირჩიეს ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს წევრად, ამავე წელს ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის დააჯილდოვეს დირსების ორდენით.

2009 წელს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ბატონი ელიზბარი წარადგინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორასპონდენტად.

2013 წელს აირჩიეს საერთაშორისო ჟურნალის «European Geographical Studies» (სლოვაკია) მთავარი რედაქტორის მოადგილედ. ის ხანგრძლივად მუშაობს აგრეთვე სხვა საერთაშორისო ჟურნალების, მათ შორის საზღვარგარეთის, სარედაქციო კოლეგიებში. ამის გარდა, არის რამდენიმე ათეული მონოგრაფიის და სამეცნიერო კრებულის რედაქტორი და რეცენზენტი.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1985-დან დღემდე)

გასული საუკუნის 80-იან წლებში მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომ კახეთში არსებული სეტყვასთან ბრძოლის სამსახურისთვის კადრები თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-ასტრონომიის სპეციალობის ბაზაზე მომზადებულიყო, რისთვისაც სასწავლო პროგრამაში დაემატა რამდენიმე სპეციალური საგანი. ერთეულთ სასწავლო წელს, ამ სპეციაგნებზე ფიზიკის კათედრამ მიიწვია ბატონი ელიზბარი. ის კითხულობდა ლექციებს ატმოსფეროს ფიზიკასა და სინოპტიკურ მეტეოროლოგიაში. ამ პროგრამამ საქმაო ხანს იმუშავა და სეტყვისსაწინააღმდეგო სამსახურის სისტემა შეივსო კვალიფიციური ადგილობრივი კადრებით.

1985 წელს ბატონმა ელიზბარმა კონკურსის წესით დაიკავა დოცენტის თანამდებობა. 80-იანი წლების დასასრულს ინსტიტუტში გაიხსნა გეოგრაფიის და გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობები და ბატონი ელიზბარი მთლიანად იქ გადაერთო.

ბატონმა ელიზბარმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დახმარებით შეაგროვა რუკები, ლიტერატურა, მეტეოროლოგიური

ხელსაწყოები და შექმნა გეოგრაფიის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და დაარსა გეოგრაფიის კათედრა.

ელიზბარ ელიზბარაშვილის ინიციატივით და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით პირველად საქართველოში გაიხსნა გეოგრაფია-ეკოლოგიის სპეციალობა.

1991 წლიდან, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, ბატონი ელიზბარი აირჩიეს პროფესორის თანამდებობაზე.

1997 წელს, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად არჩევის შემდეგ, მან დაარსა აკადემიის კახეთის რეგიონალური განყოფილება და ჩაუდგა მას სათავეში.

2004 წლიდან არის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის გამგე და მიმართულების ხელმძღვანელი, ხოლო 2007-2017 წლებში არჩეული იყო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრად. 2013 წლის გაზაფხულიდან ნოემბრამდე ასრულებდა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას.

უნივერსიტეტის პროგრამების მიმღები საბჭოში ბატონი ელიზბარის მუშაობა არ შემოიფარგლებოდა ფორმალურობით. იგი აქტიურად მონაწილეობდა უკელა პრინციპული საკითხის განხილვაში. უკელაზე მნიშვნელოვნად კი მას მიაჩნდა ბრძოლა უნივერსიტეტის დირექტული პროფესორების დასაცავად. ბატონი ელიზბარი იხსენებს, რომ 2014 წელს, პროფესორთა ახალი ვადით არჩევნების წინ, ახლადარჩეულმა რექტორმა ბატონმა ავთანდილ დელადუტაშვილმა განიზრახა საპენსიო ასაკის პროფესორებისთვის არ მიეცა კონკურსში მონაწილეობის უფლება. ბატონი ელიზბარის თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მათი კონკურსში დაშვების შესახებ, ამით უნივერსიტეტმა შეინარჩუნა ცნობილი მეცნიერები და დვაწლმოსილი პედაგოგები, რომლებიც უნივერსიტეტის ბირთვს შეადგენენ და ურომლისოთაც უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფდა მეცნიერული კელეგის და სწავლების არსებულ დონეს. მათი უმრავლესობა დღესაც ამშვენებს უნივერსიტეტს.

უმაღლესი განათლების სისტემაში ჩატარებული რეფორმის შემდეგ ბატონი ელიზბარი უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა ორ საბაკალავრო პროგრამას (გეოგრაფია და ეკოლოგია), ორ სამაგისტრო პროგრამას (მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია და ეკოლოგია), და ორ სადოქტორო პროგრამას (მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია და ეკოლოგია).

რეფორმის საწყის ეტაპზე გეოგრაფიის მიმართულების სამიგე საფეხურზე სილაბუსების უმრავლესობა მისი მომზადებული იყო. ახალ პროგრამებთან დაკავშირებით მან შემოიტანა ახალი საგნები: გეოგრა-

ფიული მოდელირება, გლობალური ეკოლოგია, ეკოლოგიური პროგნოზირება (ბაკალავრიატში), კლიმატის ცვლილება, ატმოსფეროზე ანტროპოგენული ზემოქმედება (მაგისტრატურაში) და სხვ. შესაბამისად შეაღინა დამხმარე სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები.

2008-2015 წლებში ბატონი ელიზბარი ხელმძღვანელობდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მაცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, ხოლო 2015-2018 წლებში იყო ამავე საბჭოს სწავლული მდივანი.

ბატონი ელიზბარის მადალი ავტორიტეტის გამო მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები საქართველოში მხოლოდ თელავის უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა, რის საფუძველზეც იქ აღიზარდა რამოდენიმე ათეული გეოგრაფიის დოქტორი, რომლებიც წარმატებით ეწევიან სამეცნიერო-კვლევით, პედაგოგურ და საწარმოო საქმიანობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოსუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გარემოს ეროვნულ სააგენტოში, საწარმოო გაერთიანება “დელტა”-ში, კანადაში და სხვა სასწავლო, სამეცნიერო თუ საწარმოო ცენტრებში. მხოლოდ თელავის უნივერსიტეტში ამჟამად მუშაობს მისი ხელმძღვანელობით აღზრდილი 5 პროფესორი- ი. ჭინჭარაშვილი, თ. ზუბიტაშვილი, ნ. სულხანიშვილი, ნ. ბერძენიშვილი და ვ. გორგიშვილი, რომლებმაც დისერტაციები დაიცვეს თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2018 წელს საქართველოს უნივერსიტეტებს შორის პირველი ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური, მისი დიდი ავტორიტეტის გამო გარემოს ეროვნულმა სააგენტომ სწორედ თელავის უნივერსიტეტში დაამონტაჲ.

სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი შედეგები

ბატონი ელიზბარის მიერ გაწეული სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი შედეგია 200-ზე მეტი გამოქვენებული სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 20-მდე მონოგრაფია და სახელმძღვანელო, 2 სამეცნიერო ატლასი, მისი ხელმძღვანელობით მომზადებული 2 მეცნიერებათა დოქტორი, 10 მეცნიერებათა კანდიდატი და 11 აკადემიური დოქტორი, და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის 2003 წელს მინიჭებული ღირსების ორდენი.

ჩატარებული გამოკვლევები მოიცავს ინტერესთა 4 სფეროს: მთის კლიმატოლოგის პრობლემები, სტიქიური მეტეოროლოგიური მოვლენები, საქართველოს კლიმატური რესურსები, კლიმატის ცვლილება და რეკვადობა.

1980 წელს გამომცემლობა გидрометеоиздат-მა ლენინგრადში გამოწილი მეცნიერების ოდროზდოვის და ხ.პოლისანის რედაქტორობით გამოსცა ე-ელიზბარაშვილის (ქალიბეგოვასთან თანაავტორობით) მონოგრაფია “Статистическая структура атмосферных осадков в горных районах“. მონოგრაფიაში განხილულია როგორიცაა რელიეფის პირობებში ატმოსფერულ ნალექთა ვალების კომპლექსური გამოკვლევის პირველი ცდა, განვითარებულია ატმოსფერული ნალექების დამუშავების ხარისხობრივად ახალი მეთოდები მთების სპეციფიურობის გათვალისწინებით. მონოგრაფიამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ცნობილ საერთაშორისო ჟურნალში მასზე გამოქვეყნდა პროფესორ გიორგი სულაძეს დადგებითი რეცენზია (Метеорология и гидрология, №9, 1982).

ბატონმა ელიზბარმა მრავალრიცხვანი სტატიები გამოაქვეყნა ჟურნალში “Известия АН СССР (РАН).серия географическая“. სტატიაში “Вертикальная зональность климатов Закавказья“ (№4, 1978) პირველად გაანალიზებულია კლიმატის ვერტიკალური სტრუქტურა მთელი ამიერკავკასიისათვის, რასაც მაღალი შეფასება მისცა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა, აკადემიკოსმა ი.გერასიმოვმა. დადგინდა პარტიის ტემპერატურის საშუალო მნიშვნელობები სტანდარტული სიმაღლეებისათვის ამიერკავკასიის განსხვავებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში,

აღმოჩენილ იქნა მდგრადი ინვერსიული ფენები. კოლხეთის ბარში ინვერსია დამახასიათებელია გაზაფხულზე, რაც განპირობებულია ხმელეთის გაციებულ ზედაპირზე ზღვიდან თბილი ჰაერის მასების გადაადგილებით. აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურული ინვერსიები ზამთრის თვეებშია გაბატონებული, რაც დამახასიათებელი ატმოსფეროს ანტიციკლონალური მდგომარეობით აისხება. შემდეგ სტატიაში (№1, 1980) დადგინდა კლიმატური ელემენტების წლიური სვლის დამოკიდებულება ადგილის სიმაღლესა და ლანდშაფტურ ზონალობაზე. ამავე ჟურნალში მან გამოვაქვეყნა სტატიები ამიერკავკასიაში დრუბლიანობის, ელჭექის, ნისლის და სხვა ატმოსფერული მოვლენების სტრუქტურის და ხასიათის შესახებ (№2, 1982; №1, 1983; №5, 2007), ხოლო შრომათა ციკლში (№2, 1984; №1, 1988; №5, 1988) განვითარდა მთის კლიმატის მათემატიკური მოდელირების მიმართულება. ჩატარებული კლიმატის საფუძველზე დადგინდა რელიეფის ყველაზე ინფორმატიული მორფომეტრიული მახასიათებლები, რომლებიც ცალსახად გან-

საზღვრავენ მეტეოროლოგიური სადგურის მდებარეობას მთის სისტემაში, რის საფუძველზეც მიღებული რეგრესიის განტოლებების საშუალებით ახენილ იქნა ტემპერატურის და ნალექების ველების ფორმირებაზე რელიეფის მორფომეტრიული ფაქტორების გავლენის მექანიზმი, და შეფასდა მათი ფონური მნიშვნელობები ადგილის მაკრომდებარეობის, პორიზონგადური დანაწევრების, რელიეფის ფორმის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. განსაკუთრებული უკრადღება დაეთმო თანამდებობების უმნიშვნელოვანეს პრობლემას- გლობალურ დათბობას. შეფასდა კავკასიის მრავალრიცხოვანი ბუნებრივი ლანდშაფტების რეაქცია გლობალური დათბობის მიმართ (№5,2002; №4,2005). დადგინდა, რომ ლოკალური კლიმატების მოზაიკური ცვლილების ძირითადი მიზეზი ბუნებრივ ლანდშაფტური პირობების თავისებურებაშია. ჰუმიდურ ლანდშაფტებში სითბოს დიდი რაოდენობა აორთქლებაზე იხარჯება, მთებში კი თოვლის დნობაზე, ამიტომაც მათი რეაქცია გლობალური დათბობის მიმართ გაცილებით სუსტია, ვიდრე არაპუმიდური ლანდშაფტებისა.

აღსანიშნავია პუბლიკაციები მაღალი რეიტინგის (იმფაქტ-ფაქტორ) საერთაშორისო უურნალში "Метеорология и гидрология", რომელიც ერთდროულად ქვეყნების მოსკოვში და ამერიკის შეერთებულ შტატებში (J. Russian Meteorology and Hydrology). აღრეული გამოქვეყნებები ეხებოდა კლიმატური ელემენტების სტაციონარულ სტრუქტურას (№4, 1977; №3, 1982 და სხვ), ხოლო შემდგომ წლებში უკრადღება გამახვილდა გლობალური დათბობის პრობლემაზე. შეფასდა ტემპერატურათა ანომალიები XX საუკუნის განმავლობაში და მათი გავლენა ნალექებსა და მდინარეულ ჩამონადენზე (№1,2007). აკადემიკოსების ა.გრიგორიევისა და მ.ბუდიკოს გეოგრაფიული ზონალურობის პერიოდული კანონის საფუძვლზე შეფასდა გლობალური დათბობის გავლენით საქართველოს სტეპები და ნახევრადულაბნოს ლანდშაფტების გაუდაბნოების ალბათობა (№10, 2005), რაც საფუძვლად დაედო ახალი მეცნიერული მიმართულების-ლანდშაფტების კლიმატოლოგიის განვითარებას (Элизбарашилии Э.Ш., Элизбарашилии М.Э. Основные проблемы климатологии ландшафтов. Зеон. Тбилиси, 2006, 118 с.). დადგინდა, რომ ბუნებრივი ლანდშაფტის თითოეულ ტიპს რადიაციული ბალანსის და სიმშრალის რადიაციული ინდექსის კონკრეტული მნიშვნელობები შეესაბამება. პირველი მათგანი ბუნებრივი ლანდშაფტის სითბურ ენერგეტიკულ ბაზას, ხოლო მეორე – დატენიანების პირობებს ახასიათებს.

2009-2012 წლებში ამავე უურნალში გამოქვეყნდა ბატონი ელიზბარის ხელმძღვანელობით და ავტორობით შესრულებული შრომათა

ციკლი სტიქიური მეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ- გვალვა, წაყინვა, საშიში ნისლი, გრიგალური ქარი, გამტარების შემოყინულობა, მყინვარების დნობა (Russian Meteorology and Hydrology, v.36 is.6, 2012; v.37 is.8, 2012; v.38 is.3, 2013 და სხვ). შეფასდა ამ მოვლენებით გამოწვეული რისკები, და დადგინდა მათი ინტენსივობები და გავრცელების არეალები. ეს კვლევები შეჯამდა მონოგრაფიაში **Стихийные метеорологические явления на территории Грузии** (2012, თანაავტორი მ.ელიზებარაშვილი). მნიშვნელოვანია 40 გვერდიანი სტატია, რომელიც მიეძღვნა ბუნების სტიქიური მოვლენების- გრიგალური ქარების, ძლიერი ნისლის, ლიპყინულის, თავსემა ნალექების, სეტყვის, გვალვის, წაყინვის, წყალდიდობის, აგრეთვე მიწისძვრის, დვარცოფის, თოვლის ზვავების და სხვ. შესწავლას, და გამოქვეყნდა მისი თანაავტორობით მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალრეიტინგულ (იმფაქტ-ფაქტორ) ჟურნალში **Natural Hazards** (Journal of the International Society for the Prevention and Mitigation of Natural Hazards, vol.64. 2012).

შემდგომ წლებში პუბლიკაციები "Метеорология и гидрология"-ში (Russian Meteorology and Hydrology) ძირითადად კლიმატის ცვლილების პრობლემას ეხებოდა. დადგინდა პარის ტემპერატურის ცვლილების ძირითადი ტენდენციები საქართველოში გლობალური დათბობის პირობებში (Russian Meteorology and Hydrology, v.38 is.4, 2013). შეიქმნა მაღალი გარჩევადობის ბადური მონაცემების მასივები პარის საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურებისთვის, აგრეთვე ნალექების თვიური, სეზონური და წლიური მონაცემებისთვის 25ქმ ბიჯით 1936-2011 წლების მონაცემებისთვის. ამ მონაცემების საფუძველზე შედგენილ იქნა ტემპერატურის და ნალექების ცვლილების გეოინფორმაციული რეკები. გამოვლინდა დათბობის და აცივების სხვადასხვა ინტენსივობის რაონები და კერები (v.38 is.9, 2013).

რეგიონალური კლიმატური ცვლილებების შეფასებისათვის მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ დაადგინა 27 კლიმატური ინდექსი, რომლებიც კარგად ახასიათებს კლიმატის ექსტრემალურ გადახრებს. ბატონი ელიზბარის ხელმძღვნელობით გამოკვლეული იქმ ტემპერატურის და დატენიანების კლიმატური ინდექსები - ექსტრემალური ტემპერატურები, ცივი, ყინვიანი და ცხელი დღეები, ტროპიკული დამეები, ნალექების დღელამური მაქსიმუმები, ინტენსივობა, სხვადასხვა გრადაციის ნალექებიან დღეთა რიცხვი, ნალექიანი და უნალექო პერიოდები და სხვ. დადგინდა მათი ცვლილების ტენდენციები გლობალური დათბობის პირობებში (v.40 is.1, 2015; v.41 is.4, 2016; Vol. 42,

No. 10, 2017; Vol.43, No. 9, 2018; Vol.44, No. 2, 2019). შეფასდა საქართველოს ადგგნითი პოტენციალური ენერგოენერსები, მათ შორის ქარის, მზის და ჰიდრორესურსები, შეიქმნა შესაბამისი რეკები ამ რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის (v.41 is.11/12, 2016).

მაღალი რეიტინგის (იმფაქტ ფაქტორ) უურნალში *Почвоведение* (Eurazian soil science) გამოქვეყნდა ე.ელიზბარაშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული შრომათა ციკლი საქართველოს ნიადაგების ფიზიკური თვისებების, სითბური და ტენის რეჟიმის, და კლიმატური რესურსების შესახებ (vol. 39, №10, 2006; vol. 40, №7, 2007; vol. 43, №4 2010).

ნიადაგის გათბობის კოეფიციენტი საკმაოდ კარგად ახასიათებს ტერიტორიის ძირითად კლიმატურ თავისებურებებს. სწორედ გათბობის კოეფიციენტის შესაბამისად ნიადაგის ზედაპირის ყველაზე მაღალი ტემპერატურები ზაფხულში აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და კოლხეთის დაბლობზე აღინიშნება. დადგინდა, რომ ზაფხულში 500მ სიმაღლემდე ყველაზე კარგად თბება ყვითელი და შავმიწა ნიადაგები, 500-1500 მ სიმაღლივ ინტერვალში განსაკუთრებით თბილია ყავისფერი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, ხოლო შედარებით ცივია წითელმიწები და ტყის მურა ნიადაგები. აღნიშნული სიმაღლეების მაღლა ყველაზე თბილი ნეშომპალა-კარბონატული, ხოლო ყველაზე ცივი შავმიწა ნიადაგებია. ზამთარში 500მ სიმაღლემდე ყველაზე თბილი წითელმიწები და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებია, ხოლო 500-1500მ ინტერვალში-ტყის ყავისფერი ნიადაგები. ამავე მაღლივ ინტერვალში ყველაზე ცივი ტყის მურა ნიადაგებია. 1500 მ-ზე მაღლა თბილია შავმიწები, ხოლო ცივი ნეშომპალა-კარბონატული და მთა-მდელოს ნიადაგები. საქართველოს ნიადაგების დატენიანების ხასიათში გამოვლენილია პროდუქტიული ტენის მარაგის დინამიკის 3 ტიპი (ე.ელიზბარაშვილი, ხ.ჭავჭანიძე, ხ.სულხანიშვილი, 1992): გაწყლოვანების (Iტიპი), კაპილარული დატენიანების(II) და გაზაფხულის სრული დასველების(III). გაწყლოვანების ტიპი წარმოდგენილია 3 ქვეტიად: ძლიერი გაწყლოვანების(I), ზომიერი გაწყლოვანების(II) და სუსტი გაწყლოვანების(III).

უურნალში *Annals of Agrarian Science* გამოქვეყნდა სტატიები საქართველოს ნიადაგების დეგრადაციის (Vol.10, № 4, 2012) და კლიმატურ ინდექსებზე გლობალური დათბობის გავლენის შესახებ (Vol.15, 2017).

უურნალში *European Geographical Studies* გამოქვეყნებული სტატიები ეხება აჭარის ზღვისპირა სანაპიროს კლიმატის ცვლილებას, აჭარის ნიადაგების და საქართველოს კლიმატურ რესურსებს (European

Geographical Studies, Vol.(6), № 1; № 2; № 3; 2015). დადგინდა აჭარის შავი ზეგის სანაპიროს კლიმატის ცვლილების თავისებურებები, კერძოდ შეფასდა ზეგის დონის, წყლის და ჰაერის ტემპერატურის, შტორმული პროცესების დინამიკა კლიმატის ცვლილებასთან კავშირში.

გამოკვლეულ იქნა აჭარის ნიადაგების კლიმატური რესურსები, ნიადაგების გათბობის კოუფიციენტი, სითბოცვლა ნიადაგ-ატმოსფეროს სისტემაში, განსხვავებული ტიპის ნიადაგების სითბური და ტენის რეჟიმი, სითბოს გავრცელება ნიადაგების ზედა და სიღრმით ფენებში. დადგინდა აჭარის ნიადაგების კლიმატური რაიონები. მიღებულ იქნა ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურის პროგნოზული განტოლებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დამატებითი პროგნოზის ძირითად მეთოდებთან ერთად (Vol.(9), № 1; 2016). გამოკვლეულ იქნა ცხელ დღეთა რიცხვის სტატისტიკური სტრუქტურა (Vol.(4), № 1; 2017), სეტყვის (Vol.(2), № 2, 2014) და ქარბუქის კლიმატოლოგია (2018, 5(1)).

ურნალში “Earth Sciences” გაანალიზებულია ტროპიკული დამების ისტორიული ტრენდები (6(5-1),2017). ჩატარებულია ტროპიკული დამების მახასიათებლების შედარებითი ანალიზი წინა და სამხრეთ აზიის ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატების პირობებში. გამოკვლეულია ტროპიკული დამების რიცხვის ცვლილება ადგილის სიმაღლეზე დამოკიდებულებით. დადგენილია ტროპიკული დამების საშუალო წლიური მნიშვნელობები სტანდარტული სიმაღლეებისათვის.

ბატონი ელიზბარის თანახელმძღვანელობით, თანაავტორობით და რედაქტორობით გამოიცა 2 სამეცნიერო ატლასი: “საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები” (მოსკოვი, 1989) და “საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური ატლასი” (თბილისი, 2011). სამეცნიერო ატლასს “საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები” (მოსკოვი, 1989), რომელშიც იგი კლიმატური რესურსების ამსახველი რეკების შედგენის ხელმძღვანელი და მთავარი შემსრულებელი გახლდათ, 1993 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში.

ბატონი ელიზბარი დიდ უურადღებას უთმობდა კურორტების თემაზე, სპეციალური ატლასის გარდა, ჯერ კიდევ 1980 წელს მან გამოსცა მონოგრაფია “Климатография курортов Грузии” (Элизбарашилии Э.Ш., Гонгладзе Н.Ш., 1980). მასში თაგმოყრილია საქართველოს კურორტოლოგის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გამოვლენილი 400-მდე კურორტის და საკურორტო რესურსების კლიმატური დახასიათება. სწორედ მისი ხელ-

მძღვანელობით შესრულდა დღეს უკვე სახელგანთქმული კურორტების-ურეკის, შეკვეთილის, გრიგოლეთის და გუდაურის პირველი კლიმატური შეფასებები და გაიცა დასკვნები მათი პერსპექტიული განვითარებისათვის.

ბატონი ელიზბარის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები მოხსენდა მრავალ საერთაშორისო ფორუმს, მათ შორის რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში, ბულგარეთში, ავსტრიაში, საფრანგეთში და სხვ.

სამეცნიერო კვლევების შედეგები ეტაპობრივად შეჯამდა მონოგრაფიები- გვალვები, უნალექო და ნალექინი პერიოდები საქართველოში (1992, თანაავტორობით), საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული კვლილების გვალვების გმპირიული მოდელი (1999, თანაავტორობით), თბილისის კლიმატის მრავალწლიური ცვლილება და ციკლური რყევადობა (2001, თანაავტორობით), საქართველოს ჰავა (ტ.1-7, თანაავტორობით), Основные проблемы климатологии ландшафттов (2006, თანაავტორობით), საქართველოს კლიმატური რესურსები(2007), Стихийные метеорологические явления на территории Грузии (2012, თანაავტორობით), საქართველოს კლიმატის ცვლილება გლობალური დათბობის პირობებში (2013, თანაავტორობით), საქართველოს ჰავა (2017) და სხვ.

ოჯახი

ბატონი ელიზბარი 1968 წლის აგვისტოში დაქორწინდა ნემა თურქიაზე, ის მათინ აგრეთვე უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, სწავლობდა ფილოსოფიის ფაკულტეტზე, დამთავრების შემდეგ მუშაობდა უნივერსიტეტის რედიგიათმცოდნეობის კათედრაზე. ბატონი ელიზბარი აღიარებს, რომ მეუღლე იყო მისი წარმატებების მთავარი შემოქმედი. ქალბატონმა ნემამ ოთხი შვილი გაზარდა, ოთხივე მეცნიერების დოქტორი.

1970 წლის 25 თებერვალს ოჯახში გაჩნდა პირველი შვილი ელიზბარი. 1972 წელს დაიბადა მარიკა (მარიამი), 1973 წელს დაიბადა მესამე შვილი-ელისო, 1976 წელს დაიბადა მეოთხე შვილი- შალვა.

ელიზბარმა დამთავრა უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია. მან გააგრძელა მუშაობა პოლიტოლოგიის ინსტიტუტში და სხვადასხვა უნივერსიტეტებში არჩეულია ასოცირებულ პროფესორად- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სეუ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი

“ჯორჯია” და სხვ. გამოაქვეყნა რამოდენიმე სერიოზული მონოგრაფია.

მარიკამ დაამთავრა ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, შემდეგ უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, გაიარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა, დაიცვა საკანდიდატო და მაღაგეგ სადოქტორო დისერტაციები. ის საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი გახდა 32 წლის ასაკში. ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. შესრულებული აქვს მრავალი საგრანტო პროექტი და მოიარა მთელი მსოფლიო.

ელისომ აირჩია ფილოლოგია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გაიარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია ბიზანტინისტიკაში. მუშაობს აღმოსვლეოთმცოდნების ინსტიტუტში, გამოქვეყნებული აქვს ძალიან კარგი შრომები, მათ შორის მონოგრაფია. შესრულებული აქვს რამოდენიმე საგრანტო პროექტი. ხშირად იწვევენ საზღვარგარეთ კონფერენციებზე.

შალვამ ისწავლა ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში, შემდეგ გადავიდა რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში. უნივერსიტეტში ჩააბარა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში. მანაც გაიარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ბატონ ელიზბარს ჯერჯერობით მხოლოდ ერთი შვილისშვილი ჰყავს, შალვასგან-ირაკლი, რომელიც 19 წლისაა (დაიბადა 2001 წელს) და სწავლობს თბილისის ივ-ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის სპეციალობაზე.

დანართი

* * * ს. ვეჯინი (ქიზიყი). ნანაშვარ
და მეფე ერეკლება. 22 თებერვალს
ვეჯინის პეტრე-პავლეს ეკკლესიაში,
გარდახდილ იქმნა წირვა და პანა-
შვილი დიდებულის მეფის ერეკლე
II სულის მოსახსენებლად. პანაშვი-
ლის დაწყებამდე მღვდელმა პ. ელიზ-
ბარიშვილმა განუმარტა ხალხს თავ-
განწირუ  მეფობა და მოღვაწეო-
ბა „პატა კანისა“. პანაშვილს ბევ-
რი ხალხი დაესწრო. (ივ.)

გაზეთი “ცნობის ფურცელი” (№487), 1898 წელი

გენიოლოგიის ხე	
ნიკოლოზ ელიზბარაშვილი	
პეტრე ელიზბარაშვილი	დართ მთვარელიშვილი

(შვილი/მისი მეუღლე/შვილი/შვილთაშვილი და ა.შ.):

1.კორნილე (გიგო; ნიკო-ჭიჭიკო; ვასო-გოგი-ირინე-ზურა; სოფიო/იმერ-ლიშვილისა-მზია, ბერდო; ოლია/ჭანტურიასი-ელიკო, გოგი-კაკო; თამარ/გულისაშვილისა-ცისა/ჩოლოფაშვილისა-თემური, დათო; ლალი/ბრაგვაძისა-დიმა, გოგა

2.კალანა (ლუკა-თინა/მეუგვიძესი-საშალია; სიკო; ნადია/გოგოლაძისა-თამარი-კოლია, შალვა; თამარი/მენთეშაშვილისა-პახა, არჩილი, გია; კატო/ბეციაშვილისა-შოთა, ოთარი; იულია-მზია; ვერა-ლალი-დათო; მინადორა; ანა-თევდო)

4.მარიამი/ფერაძისა (პეტრე-ნანი, მარიკა/ანზორ მალუქესი)

5.ეფროსინე/მენთეშაშვილისა (სონია-არჩილი, ნატო/შავლიაშვილისა; ნიკო-ოგნეგიზი, რუსულანი)

3

მიხეილ ელიზბარაშვილი 1875-1942	• ბარბარე მირიანაშვილი 1882-1962
შვილი/მისი მეუღლე (შვილი/შვილი, შვილთაშვილი და ა.შ.)	

- არჩილი /თამარ მემარიაშვილი (ვარვარა/ხოზმაარაშვილისა-თამარი; მიხეილი/გიული ყურაშვილი-არჩილი, მარინე).
- ვახტანგი/ნინო სარალიძე (მარიკა/მალაშხიასი-ვახტანგი, ნიკოლოზი)
- თამარი /იოსებ მანჯავიძე (ნათელა/გელოვანისა-ავთანდილი-ტარიელ; გულიკო/გვეტაძესი-ლია, გია; თინა-თემური).
- 4.

შალვა ელიზბარაშვილი 1906-1980	*ვერა (მარიამ) ჭანკვეტაძე 1916-1967
----------------------------------	--

შვილი/ მისი მეუღლე (შვილი/შვილი შვილთაშვილი და ა.ს.)

1.დალი/გურამ სულხანიშვილისა (ნანა- ნათია, თამუნა; ნიკოლოზი/ბელა დარჩიაშვილი-გურამი, სულხან საბა).

2.

ელიზბარ ელიზბარაშვილი 1946	ნემა თურქია 1946
-------------------------------	---------------------

ელიზბარ 1970	მარიამი 1972	ელისო 1973	შალვა/ეკა დობორჯვინიძე 1976
-----------------	-----------------	---------------	--------------------------------

ირაკლი 2001

ე.ელიზბარაშვილის ხელმძღვანელობით დაცული დისერტაციები
მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხზე

№	დისერტაციი	თემა	საბჭო	წელი
1	ზ.ჯავჭანიძე	მთიანიტერიტორიის დატენიანების კანონზომიერებანი და ნიადაგის ტენის რეგულირების პრობლემები	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1994
2	ლ.ქართველი შვილი	კომპლექსური კლიმატური პარამეტრების განაწილებათა კანონზომიერებანი საქართველოს ტერიტორიაზე და მათი სამშენებლო პრაქტიკაში გამოყენების პერსპექტივები	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1999

მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხზე

1	თ.ხელაძე	კლიმატური მათებატიკურ-კარტოგრაფიული მოდელირება მორფომეტრიული გათვალისწინებით სამხრეთ ფერდობზე	გელების რელიფის ფაქტორების კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე	თბილისის სახელმწიფ ო უნივერსიტე ტი	1988
2	ზ.ჯავჭანიძე	გვალვებისა და ნალექიანი პერიოდების ფორმირების ფაქტორები და განაწილების ხასიათი საქართველოს ტერიტორიაზე ხასიათი	თბილისის სახელმწიფ ო უნივერსიტე ტი	1989	

3	თ.ხეცურიანი	მიწისპირა ქარის რეჟიმის მათემატიკური მოდელირება მთის რელიეფის პირობებში	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1993
4	მ.იანაკიძისი	დახრილ ზედაპირებზე მოსული თხევადი ნალექების კორექტირების მიზანშეწონილობის დასაბუთება	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1994
5	ზ.ხელაძეიანი	კლიმატური მახასიათებლების ემპირიულ განაწილებათა სტატისტიკური თვისებები	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1994
6	თ.ალადაშვილი	თბილისის კლიმატის რეაქცია კოსმოსური და ცირკულაციური ფაქტორების საუკუნოვანი რეაგადობის მიმართ	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1999
7	ი.ჭინჭარაშვილი	კახეთის რეგიონის კლიმატური რესურსების კომპლექსური შეფასება	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2002
8	თ.ზუბიტაშვილი	ნისლის კლიმატური მახასიათებლების სივრცითი და დროითი სტრუქტურა აღმოსავლეთ საქართველოში	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2004
9	ნ.სულხანიშვილი	საქართველოს ზოგიერთი ნიადაგის კლიმატური რესურსები	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	2005
10	ლ.მეგრელიძე	დრუბლიანობის ვეილს კლიმატური მახასიათებლების სივრცით-დროითი სტრუქტურა	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2006

		აღმოსავლეთ საქართველოში	უნივერსიტეტი	
დოქტორის აკადემიურ ხარისხზე				
1	ვ.გორგიშვილი	გვალვები საქართველოში	აღმოსავლეთ საქართველოში	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2.	პ.პორსანტია	სამეცნიელოს პირობების პოტენციალი	ბუნებრივი რესურსები	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3.	გ.მარელიშვილი	ატმოსფერული კახეთის ტერიტორიაზე	ნალექები	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	ნ.ბერძენიშვილი	იმერეთის კომპლექსური გამოკვლევა	რეგიონის კლიმატური და მოკვლევა	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5	პ.ლაშაური	კლიმატის ცვლილების გავლენა აღმოსავლეთ საქართველოში გვალვიანობის დინამიკაზე, მდინარეთა ზედაპირულ და მიწისქვეშა ჩამონადენზე	საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	2014
6	მ.კაიშაური	სამხრეთ საქართველოს კომპლექსური კლიმატური და ეკოლოგიური გამოკვლევა	საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	2014
7	მ.ფიფია	სეტყვიანობის კლიმატოლოგია აღმოსავლეთ საქართველოში	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2016

8	ნ.ფალავა	კლიმატის ცვლილების თანამედროვე ტენდენციები და ბუნებრივი ლანდშაფტების ანტროპოგენური ტრანსფორმაცია აჭარის ტერიტორიაზე	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2016
9	ც.ქამადაძე	აჭარის ნიადაგების კლიმატური რესურსები	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2016
10	ხ.ჭიჭილეიშვილი	თანამედროვე გლობალური დათბობა და მისი გავლენა აჭარის ზღვისპირეთის კლიმატზე და ზღვის ჰიდრომეტეოროლოგიურ რაჟიმზე	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2016
11	ე.ხუციშვილი	საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქების და ადმინისტრაციული მხარეების კლიმატური რესურსების პოტენციალის შეფასება	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2016



ელიზაბარი 3 წლის ასაკში



პაპა-დეკანოზი მიხეილ ელიზაბარაშვილი



პაპის-დეკანოზ მიხეილ ელიზაბარაშვილის დიდი ოჯახი.
პირველ რიგში მარცხნიდან დედა-ვერა ჭანეგეტაძე და და დალი,
ბოლო რიგში მარჯვნიდან პირველი მამა -შალვა ელიზაბარაშვილი
(1939წ)



მშობლები-ვერა ჭანკვეტაძე და შალვა ელიზბარაშვილი (1940წ)



სახლი თელავში ელენე ახვლედიანის ქუჩაზე



ელიზბარაშვილები, მარცხნიდან-ბატონი ელიზბარი, შვილის შვილი ირაკლი, მისი
მამა-შალვა, და უფროსი შვილი ელიზბარი (2010 წ)



სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში,
მარცხნიდან ე-ელიზბარაშვილი, ი.ბონდირევი, გ.მეტრეველი, ზ.ტატაშიძე,
ნ.ბერუბაშვილი (2004 წ)



ი.გოგებაშვილის სახელობის ოქლავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მ.კაიშაურის დისერტაციის დაცვის შემდეგ (2014 წ)



სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში,
მარცხნიდან გ-გრიგოლია და გ-ელიზბარაშვილი (2015 წ)



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ბატონი ელიზბარის
მოხსენების შემდეგ (2017 წ)



ოჯახი (2014 წ)